ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 206

24 ოქტომბერი 2019 წელი

ქ. ბათუმი

ერთის მხრივ, სსიპ–ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის **გიორგი მიქელაძის** სახით და მეორეს მხრივ, **ფიზიკური პირი მირიან გაჩეჩილაძე** (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის №98 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. 2019 წლის 27 ოქტომბერს სსიპ–ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მიერ, ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, დაგეგმილია სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, რომელშიც ორკესტრთან ერთად მონაწილეობას ღებულობს სსიპ–ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა, საოპერო დასის სოლისტები: ინგა ჯახუტაშვილი, სულხან ჯაიანი, მოწვეული სოლისტები: ნინო ლეჟავა, ზურაბ ზურაბიშვილი, იტალიელი დირიჟორი ალბერტო ვერონეზი. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია აღნიშნულ კონცერტთან დაკავშირებით, ორკესტრის მსახიობის (ტუბა) მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით (CPV კოდი–92300000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა **700** (შვიდასი) ლარი.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.
4.2. მომსახურების გაწევის ადგილია ქალაქი ბათუმი, შოთა რუსთაველის ქუჩა №1 (ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი).

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.
5.2. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება გაწეული მომსახურების ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულებით გათვალiსწინებულ რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში.
6.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორების დოკუმენტზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაწიოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

11.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება
ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

11.5. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

12.2. ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღია წინამდებარე ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღი.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ,,ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი''	ფ/პ მირიან გაჩეჩილაძე
იურიდიული მისამართი: ბათუმი, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა №1	პირადი №09001005482
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. ,,ვითიბი ბანკი''
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი UGEBGE22
ანგ. №: GE24NB03 3010 0200 1650 22	ანგ. № GE75VT1000009845704506
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 584 274	

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქალაქი ბათუმი

24 ოქტომბერი 2019 წელი

ხელწერილით ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა სსიპ–ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის მიერ ფიზიკური პირი **მირიან გაჩეჩილაძესთან ორკესტრის მსახიობის (ტუბა)** მომსახურების შესყიდვის მიზნით განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში, არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

მუსიკალური ცენტრის დირექტორი
გიორგი მიქელაძე

მუსიკალური ცენტრის სიმფონიური ორკესტრის
მთავარი დირიჟორი–სამხატვრო ხელმძღვანელი
დავით მუქერია